



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №15/50

2017 წლის 29 ივნისი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კოკაიას ქუჩაზე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწისნაკვეთზე (საკადასტროკოდი №04.01.03.743) თევზის კონსერვისა და კომბინირებული საკვების (თევზისა და ცხოველთა საკვები) გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს 2017 წლის 22 ივნისს №6/30892 წერილით მომართა სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და ითხოვა კოკაიას ქუჩაზე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №04.01.03.743) თევზის კონსერვისა და კომბინირებული საკვების (თევზისა და ცხოველთა საკვები) გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისათვის სატრანსპორტო ზონა 1 -ის სამრეწველო ზონა 1- ად შეცვლა.

„ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების პროცედურა ხორციელდება ორ ეტაპად, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ პირველი ეტაპით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შესაძლებელია შემდგომი ეტაპის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. აღნიშნული ეტაპების ადმინისტრაციული წარმოების ვადებია: ა) I ეტაპი – დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალების დამტკიცება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესის შესაბამისად – არაუმეტეს 20 დღე; ბ) II ეტაპი – დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესის შესაბამისად – არაუმეტეს 30 დღე. ამავე რეგლამენტის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს თვითმმართველობის შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს გამოსცემს საკრებულო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურმა შეისწავლა ზემოაღნიშნული საკითხი, გამოკვლევულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე დადგენილია, რომ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებისა და საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ აწარმოა დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პირველი ეტაპი. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კოკაიას ქუჩაზე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №04.01.03.743) თევზის კონსერვისა და კომბინირებული საკვების (თევზისა და ცხოველთა საკვები) გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალება, თანახმად დანართისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კოკაიას ქუჩაზე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №04.01.03.743) თევზის კონსერვისა და კომბინირებული საკვების (თევზისა და ცხოველთა საკვები) გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალება, თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 29 ივნისიდან.

**საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე**

აკაკი დარჯანია